ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

14 მარტი 2025

N149020

ქ. თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს ,,ტრანსფორდი“-სთვის წერილობითი გაფრთხილების სახით

პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ

შპს ,,ტრანსფორდი“-ს მიერ (ს/ნ - 404386151, მისამართი: საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ორბელიანის ჩიხი, #5) (შემდგომ - სუბიექტი) ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს (შემდგომ - სამსახური) 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგება 2024 წლის 24 სექტემბერს წარედგინა.

სუბიექტის მიერ წარდგენილი ინფორმაციის თანახმად, იგი წარმოადგენს I კატეგორიის საწარმოს და I კატეგორიის ჯგუფის მშობელ საწარმოს.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სამსახურმა განახორციელა წარდგენილი ანგარიშგების კანონითა და „ანგარიშგების ვებგვერდზე მომხმარებელთა რეგისტრაციის, სუბიექტების მიერ ანგარიშგების წარდგენისა და წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 21 მაისის №ნ-6 ბრძანებით დამტკიცებული წესით (შემდგომ - წესი) დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის გადამოწმება და გამოარკვია:

1. წესის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად „სუბიექტის შესახებ ზოგადი ინფორმაციის ჩანართში აისახება შემდეგი ინფორმაცია: საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მშობელი საწარმოს რეგისტრაციის ქვეყანა, საიდენტიფიკაციო ნომერი და საფირმო სახელწოდება, ასეთის არსებობის შემთხვევაში“. სუბიექტს ზოგადი ინფორმაციის ჩანართში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მშობელი საწარმოს რეგისტრაციის ქვეყნის, საიდენტიფიკაციო ნომრისა და/ან საფირმო სახელწოდების შესახებ ინფორმაცია მითითებული არ აქვს ატვირთული ანგარიშგების შესაბამისად.

2. წესის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „სუბიექტი ციფრული ფორმების შევსებამდე მიუთითებს, ანგარიშგება ხორციელდება ერთეულ თუ ათასეულ ლარებში. მესამე და მეოთხე კატეგორიის სუბიექტები მონაცემებს წარადგენენ მხოლოდ ერთეულ ლარში“. სუბიექტის მიერ ინდივიდუალური და კონსოლიდირებული ანგარიშგების ციფრული ფორმების ჩანართში მითითებული კომპონენტები არ არის შევსებული შესაბამის ერთეულში.

ზემოაღნიშნული დარღვევა იწვევს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სუბიექტს მიეცეს წერილობითი გაფრთხილება;
2. სუბიექტს დაევალოს დარღვევის აღმოფხვრა ამ ბრძანების ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში;
3. ამ ბრძანების მე-2 პუნქტში მითითებული მოთხოვნის შეუსრულებლობა გამოიწვევს სუბიექტის დაჯარიმებას;
4. ეს ბრძანება ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით მჭედლიძე

სამსახურის უფროსი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხვედველობის სამსახური